# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

შაბათი, 21 გიორგობისთვე № 47 — 1915



**ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი**

რუსეთის სახელგანთქმული მწერალი, გარდაცვალებიდან 5 წ. შესრულების გამო

## 21 გიორგობისთვე

**კალმოსანი მსაჯულნი**

ბასრი დანა ბავშვის ხელში — მისთვისვეა სახიფათო, ბოროტმოქმედის-კი — საზოგადოებისათვის...

მარჯვედ მომართული კალამი იგივე ბასრი დანაა, და დიდათ მავნებელი, თუ ამ კალამს გულღრძოობით ხმარობენ...

ბასრი კალმის გავლენას დღეს, ყველაზე უმეტესად, ჩვენი თეატრის მუშაკნი განიცდიან: საზოგადოება უსმენს პრესას, მწერლის ენდობა, და ვაი სცენას, თუ კალმოსნები მას აბუჩად, ცალყბად, მზაკვრულად ეპყრობიან...

ასეთი მოპყრობა — მტრობაა საეროვნო საქმისა. ეს იმასა ჰგავს, რამდენიმე პირისაგან დიდის ზრუნვით აგებული წმიდა ტაძარი ერთმა გულღრძომ უწმინდურ ფეხით წაპილწოს...

წაპილწულს ტაძარს კი მლოცველნი ჩამოეცლებიან...

ამიტომ ვინაც ჰსურს კალმით ემსახუროს ჩვენის თეატრის წინსვლას, სათუთად უნდა მოეპყრას ხელოვნებასა და მის მსახურთ: შეცდომაც ამხილოს, უკეთესისკენ მიუთითოს, ლანძღვა-გამასხარავებას, სახელის გატეხას კი მოერიდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრები

სწორე და მიხვეულ-მოხვეული გზები მაღალი მთის მწვერვალიდან გამოჩნდება ხოლმე. ადამიანის ცხოვრებაშიაც სწორი და მიხვეულ-მოხვეული გზები მხოლოდ იდეალის მაღალ მწვერვალიდან სჩანს.

---

გონიერი ადამიანის ცხოვრება—დაბალი რწმენათა დანგრევა, უმაღლესი რწმენის მისაღწევად. კაცობრიობის ცხოვრებაც იგივეა.

---

წინსვლა, პროგრესი კაცობრიობისა იმ შენაძენთაგან შესდგება, რომელთაც მიაღწია ცალკეულმა კერძო ადამიანმა თავისი პირადი ზნეობრივი განსპეტაკების გზაზე.

---

ალზრდა-გან თლება ადამიანის ღრმა სულიერი მოთხოვნილებაა. ყველა ქვეყნის მმართველებმა ეს მოთხოვნილება თავის სასარგებლოდ, თავისი ბატონობის გასამტკიცებლად გამოიყენეს. სარწმუნოების საქმეშიაც ამგვარსავე სურათს ვხედავთ.

**ილია ნაკაშიძე**

# სინათლისაკენ

**(ნაწყვეტი)**

ოჰ, რა ღამე იყო, რა ჯოჯოხეთური წყეული ღამე!

სიბნელეს შთაენთქა ცა, მთები, ტყე და ველი. ერთ ვარსკვლავსაც ვერ გაებედა გადმოეხედა დედამიწისაკენ,—ყველანი მიმალულიყვნენ, დაბურულიყვნენ შავი ღრუბლებით. ზუზუნით და ხარხარით აპობდა სიბნელეს გაშმაგებული ქარი, უგზო-უკვლოდ ნავარდობდა, მტვერივით აყენებდა მდებარე ფიფქ თოვლს, არყევდა ხეებს და ატირებდა ტყეს.

შორიდან მოისმოდა რაღაც უცნაური გრიალი. დროგამოშვებით ცის შავ სივრცეში ვარდებოდა ცეცხლის მაღალი სვეტი, თითქოს უნდაო შთანთქას ღრუბლები, მოსწმინდოს ცას პირი და დაანახოს მას გაპარტახებული ქვეყანა.

ხან კიდევ ქარი მოიტანდა რაღაც გაურკვეველს ღრიალ—ღმუილს.

..... ამ დროს ისინი ტყეში შევიდნენ: დედა და პატარა ვაჟი.

დედას ჩაეკრა გულში ძუძუთა ბავშვი და ჩასძინებოდა კიდეც.

პატარა ვაჟი ჩადრში ჩაჰკიდოდა ერთი ხელით, მეორეს თითები პირში ჩაედო და უბერავდა, თანაც ათბობდა ცრემლებით.

შორი მთის ძირიდან იჭყიტებოდა სუსტი სინათლე.

— სუ, შვილო, ნუ ტირი, გაგვიგონებენ და დავიღუპეთ... გაიხედე, გაიხედე სინათლე მოსჩანს... ცოტა კიდევ და...

თოვლში ეფლობოდნენ, ხეებს ეტაკებოდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. გამოლევიძებულს და ატირებულს ბავშვს დედა პირზე ხელს აფარებდა. შეუბრალებლად ცელქობდა სინათლე: ხან სულ მიიმალებოდა და ჰკლავდა იმედს, ხან ისევ გამოიჭყიტდა ხეებში, ხან,—ასე გვეგონებოდათ,—უფრო შორს მიიწევდა.

— აღარა სჩანს, დედა, აღარა!

— გამოჩნდება, შვილო, გამოჩნდება,—აიმედებდა დედა.

აიმედებდა, მაგრამ თვითონ კი არ იმედობდა: სინათლე საბოლოოდ მიიმალა.

— დედა, როდის გათენდება? გათენდება თუ არა?

— რას ამბობ, შვილო? გათენდება, მაშ რას იზამს!..

. . . . . . . . .

აღ - - - არ სჩანს, აღა - - არა - ა...

და იქვე დაეცა თოვლზე.

. . . . . . . . .

გათენდა. ტყე სქელი ნისლით იყო შებურული. თეთრ სპეტაკ მთის წვეროდან გადმოხედა მზემ ქვეყანას.

წითელი იყო მზე...

სისხლით დაეპანა იმას პირი..

ერთ ხის ძირში ეწყვნენ სამნივე:

დედას შვილები ჩადრში გაეხვია და თოვლში ჩაეწვინა, თვითონ კი ზევიდან გადაფარებოდა; პატარას დედის ძუძუ პირში ჩაჰყინოდა, ძუძუში-კი—იმის გალურჯებული თითები,—თითქოს ეშინოდა, არ მომშორდესო დედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედის იღლიის ქვეშიდან ვაჟს სახე უჩანდა. იმის გახელილი მკვდარი თვალები მისცქეროდნენ იმ მთის ძირს, საიდანაც სინათლის შუქი მოდიოდა. დედა კი აღმოსავლეთისკენ იხედებოდა: მოელოდა, როდის გათენდებაო.

ფართედ გაშლილ უსინათლო თვალებში თამაშობდნენ მზის წითელი სხივები...

**გაბრიელ გოგუაძე**

# ინამე

## ეტიუდი

— მშვენიერი წყნარი საღამო იყო. მზე მთაზე შემდგარიყო... მარაოსავით გარდაეშალა თავისი ოქროს ფერი სხივები და სუსტად აბნევდა სინათლეს. ავერ გადაიხარა კიდეც... უკანასკნელად გადასტყორცნა გაბრწყინებული შუქი და მძიმედ ჩაესვენა, გამოეთხოვა ქვეყანას... მხოლოდ ცა ჯერ ისევ წითლად ვარვარებდა, ჰღუოდა და ჰკრთოდა ათას ფრად.

ერთ მაღლობ პატარა განმარტოვებულ გორაკზე იჯდა მჭმუნვარე ჭაბუკი და სევდიანად გადაჰყურებდა საოცნებო, საზღაპრო სურათს!..

მის თვალწინ გადაშლილიყო მომხიბლავი დაცემული წალკოტი—ველი, რომლის ბოლოს წყნარად მოდუღლავდა და გველსავით მოიკლაკნებოდა მრავალ დროების მოწამე ანკარა მდინარე. მის იქით თვალგადუწვდენელი დიდი ტყე და ტყის იქით კი უზარმაზარი თოვლით დაფენილი მთები, რომელნიც რისხვით გადმოიყურებოდნენ და თავისი სიდიადით, სიმშვენიერით, ადამიანს კრძალვასა და შიშს აღუძრავდნენ.

ჭაბუკი თვალს არ აშორებდა გავარვარებულ-გაწითლებულ ცას, თითქო უნდოდა შთანთქმულიყო მის წიაღში.

ცამ ნელ-ნელა დაჰკარგა თავისი ფერი, და ლილის ფრად შეიღება. ბუნებამ ჩამოჰკრა თავის ჩანგს სიმები და ააჟღერა მთა და ბარი... დაჰქროლა ნიავმა და შრიალი დააწყებინა ყანებს. ზუზუნით გადაიარა მის ქოჩლუც თავთავებზე და ზღვასავით აალელვა.



მსახიობი ალ. ყალაბეგიშვილი მისი ბენეფისის გამო ქუთაისის თეატრში 22 გიორგობისთვეს („უგვირგვინო მეფენი").

ნაზად შეირხნენ ტყეში ფოთლები და დაიწყეს ერთმანეთთან ლაზღანდარობა, ჩუმი—საიდუმლო ბაასი.

ბინდი მოედო არა-მარეს, დაბნელდა... მაგრამ ჭაბუკი იმ ადგილიდან არ იძვროდა. ბუნებამ იცვალა ფერი, მხოლოდ ის კი ისევ ისე კაეშნით მოცული იყო. მისი სახე მოწმობდა უიმედობას, სულის ობლობას, სრულ განცალკევება-განმარტოვებას, ადრეულად განყენება-განდგომას ამ ფუჭ—ცრუ წუთისოფლიდან. თითქო მისთვის აღარაფერი არსებობდა, აღარაფერს მოელოდა ამ ქვეყნად და სამუდამოდ ჩამოშორებოდა ყველას აღარავინ ებადა: არც გულის მეგობარი, არც მშობლები, არც და-ძმანი, არც ნათესავნი, არც მესაიდუმლე მეგობარი და აღარც მოსიყვარულე-მოთაყვანე სატრფო. მარტოდ-მარტო დარჩენილიყო ამ ვრცელ და თვალ-გადუწვდენელ დედამიწაზე. მისი ოხვრა იყო ოხვრა ვაების, ოხვრა ობლობისა, ოხვრა ტანჯულ-წამებული სულისა. ბედს მიუვალ, უდაბნო ზღვის კიდეზე გადაესროლა. ყოველივე იმედი, ნუგეში, ნდობა, რწმენა დაჰკარგოდა... ვისთვის გაეშხილა თავისი გულის ნადები? ვინ მოეწვია თავისი გოდების მოსასმენად?!

— ბუნება!! იგი დაუკავშირდა, დაუპირდაპირდა მას...

იჯდა ერთ ალაგას, უძრავი, გაშტერებული და ღამის მნათობთათვის მიეპყრო თვალები. თითქო იქ, იქ ხედავდა მოსვენებას... მთვარე ნელნელა მისცქეროდა, მკრთალი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლურს ჰფენდა ყოველ საგანს, ტურფა საოცნებო ჰაეროვნად ხდიდა! მხოლოდ მისი ჩუმი გულის კვნესა-ღა არღვევდა ბუნების ჰარმონიას.

— ოხ, ღმერთო! — ფიქრობდა ჭაბუკი: ნუ თუ ეს მშვენიერი, მომხიბლავი, თვალწარმტაცი ბუნება, ეს მოკრიალებული ლურჯი ცა, მოჭედილი ვარსკვლავებით, ეს მშვიდი და წყნარი დედამიწა, სადაც ყოველი მცენარე, ყოველი სულდგმული ხარობს, იმიტომ შექმნენი, რომ ადამიანს გულში დარდი და ბოროტი დაესადგურო? რად არის ეს სოფელი ერისა და იმავე დროს სამოთხეც და ჯოჯოხეთიც?! ნუ თუ ბუნების სიმშვენიერეს ადამიანის ცხოვრებასთან არავითარი კავშირი, არავითარი თანაგრძნობა არ უნდა ჰქონდეს?! განა იგი ცივი და მიუკარებელი უნდა იყოს ჩვენს ტანჯვა-ვაებასთან? მაშ რისთვის-ღა არსებობს ეს სილამაზე, ეს სიტურფე, თუ არა ადამიანის ბედნიერებისათვის? ან რა არის თვით ეს მშვენება, რა არის სულის უკვდავება, რა არის თვით სიკვდილის შვილი, ნუ თუ მხოლოდ მიწა და მტვერია? და ეს დიადი ქმნილება დედამიწა, არარაობაა და სხვა არაფერი?! ნუ თუ ყოველივე ამაოებაა, სიცრუე, სიცარიელეა ამ ქვეყნად და ამაოა თვით ადამიანის ბრძოლა, ლტოლვა-მისწრაფება და თუ ეს ასეა, ღირს-ღა ცხოვრებასთან შებრძოლება, მისი მძიმე უღლის წევა?!!

— ცხარედ ეკითხებოდა გულში ჭაბუკი მოკრიალებულ ლურჯ ცას, მის მნათობთ, დამშვიდებულ დედამიწას და სურდა მათგან გაეგო პასუხი.

— იწამე! ჩამოსძახეს ზეციდან მოკაშკაშე, მოელვარე ვარსკვლავებმა.

— იწამე! წასჩურჩულა მოდუდუნე ცელქმა ნიავმა.

— იწამე! კვლავ განუმეორეს მოშრიალე ტყის ფოთლებმაც.

— იწამე! ჩასძახა ყურში რაღაც უხილავმა ძალამ.

— იწამე და შეურიგდები შენს ხვედრსა, ჰპოვებ ბედნიერებას — სიმშვიდეს აქაც და იქაც და ეს იქნება თვით უკვდავება!..

ვ. გარიკი

# ფურცლები

## I

### პლ. იოსელიანი

როდესაც გატაცებით ვკითხულობ სტრაბონის წარმტაც სტრიქონებს, როდესაც ვუკვირდები ჰეროდოტეს და ტაციტის დარბაისლურ კილოს — მაგონდება ამ დროს იოსელიანის „შავი წიგნიც“ — წიგნი წითელ ასოებით.

არ ვიცი, რად ვარ ასე თავხედი, როდესაც ოქროს ხანის მწერლებს შეუდარე „ბახუსის ხანის“ მწერალი, როდესაც ოლიმპიის თამაშზე დაღაფნულ ელლინთ გვერდით ამოუყენე „ვიღაც“ იოსელიანი, მხოლოდ წყევით დაგვირგვინებული თვისტომთა-მიერ.

არ ვიცი, არა! ხოლო ახლა კი ისე მწყურიან მისი სტრიქონები, მისი ვნებით სავსე პათოსი, რომ მისი დაწყება მირჩევნია ყველაფერს.

ხან, ვით მწირი, მეუდაბნოელი — საღვთო სიტყვათა წარმომთქმელი, ხან ვით სარდალი შორს გამჭვრეტელი, ხან ვით მგოსანი ჰანგად და კითხვად გადაქცეული — მიდგება თვალწინ...

და ასე თვალწინ მიდგება ის ადამიანი, რომელიც სწერდა იმ წყეულ წუთებში, როს საქართველოს კუბოს დასტიროდა მხოლოდ ველური ზურნა.

არა, მას ვერ წარმოვიდგენ საქართველოში! არა, მე ის ელლინად მიმაჩნია, პერიკლესის ხანაში, მისი ელლინობა ამოვიკითხე მის სევდიან სახეზე, მის ასკეტურ ცხოვრებაში...

არა, იგი ქართველი არ არის, თასით ხელში, ბაღდად შემოხვეული ქართველი რაინდი მე-30-ე წლებისა.

აი, მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი, თუ ვით ისმის დუდუკის ტკბილი ხმა არაგვ-ალაზნის ველებზე, თუ ვით ისმის უზრუნველი „მრავალ ჟამიერი“, — ეს „სულთა თანა“ საქართველოსი, ხოლო ამავე დროს სევდით მოცული პლატონი წარსულის ნანგრევებზე, თუ ვით დასტირის თვითეულ ქვას, როგორ შესჩივის მათ სულის ობლობას, რადგანაც მას ტოლი არა ჰყავს, რადგან ის ფრაგმენტია, ციდან ჩამოტეხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ძახილი ამაოა, ვით შორეული კვნესა ნიკოსი ამავე წყვდიადით მოცულ ღამეში...

იგი უყივის წარსულის რაინდთ და რა ვერ ისმენს მათგან გამოძახილს - ეს მარტოობის სევდა გადააქვს ცეცხლის სტრიქონებში.

და მთელ ისტორიის ივერიისას, თუ გინდ მხიარულ კაბადონებსაც, იგი მოსავს სევდის საბურველით.

ოჰ, როგორ მენანება, რომ იგი არ იყო თამარის ხანაში: მაშინ ხომ სხივებით შემოსავდა თავის სტრიქონებს...

... და ვკითხულობ მის „შავ წიგნს“ და თვალწინ მიჰქრიან საუკუნენი. მიჰქრიან რაინდნი და მეფენი ისტორიისა და თვითეულს მათგანს პლატონი სდებს მსჯავრს და ისტუმრებს მარადისობის წიაღში

წყდება წიგნი და თვითაც ეხარება სევდიან ქაოსს, რათა სხვამაც დასდოს მსჯავრი მის მოწყენილ სახეს, მის ცეცხლეულ სტრიქონებს...

**გოგლა ლეონიძე**

# ხალხის წარმომადგენელი მეტეხის ციხეში

**(მოგონება)**

ერთფეროვანი იყო ცხოვრება ჩვენი... ხანდისხან, კვირა-ხუთშაბათობით თუ შეირხეოდა ეს ერთფეროვნება, როდესაც მნახველნი მოგვიკითხავდენ ხოლმე...

— გადაუწყვიტეს, ჩამოახრჩეს, გაგზავნეს,—აი უმეტესად რა „ახალი“ ამბებით ვიკვებებოდით.

ასეთ ერთფეროვნებაში ციხის კედელთა შორის განისმა:—ქოლა ლომთათიძე მოჰყავთ!..

და ყველა, ვინც იცოდა ამ წამებულის ვინაობა, მოუთმენლად მოელოდა — როდის იქნება, თვალით ვნახოთ...—ჩვენი ციხე მაღლდება, ღირსება ემატება! — წამოიძახა ერთმა ტუსაღთაგანმა.

ერთს ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ორმოცამდე პოლიტიკური ტუსაღი ციხის თონისებურ ეზოში ირგვლივ ვიდოდით, როგორც კალოში შებმული დაქანცული საქონელი, ვილაცამ გადმოგვძახა: „ეტაპი მოვიდა, ქოლა მოიყვანეს.“

ყველამ ციხის სამმართველოსკენ გავიხედეთ. სამმართველოში ათამდე ტუსაღი იდგა...

გულმა ფანცქალი დაიწყო, ვათვალიერებთ ვერ ვ რჩევთ... კარ-ჩაკეტილ საკნებიდან ფანჯრებში დაბორკილებულნი („კანდალჩიკები“) იცქირებიან,—ყველას ყურამდე მიაწვდია—ქოლა მოიყვანესო...

არ გასულა დიდი ხანი, მოყვანილი ტუსაღები ეზოში გამოიყვანეს:

— გამარჯობა ამხანაგებო! —გადმოგვძახა ერთმა ხმელხმელმა, აწოწილმა, გამხდარ-გატეხილმა გრუზა ტუსაღმა.

— ქოლას გაუმარჯოს! უპასუხეს

ამხანაგებმა ერთმანეთი გადაკოცნეს; ხელს ართმევენ, მორიგე ზედამხედველი ყვირის,—მაგრამ ყურს არავინ უგდებს, ვიღაცა უპასუხებს:

— Депутатъ съ нами! (დეპუტატი ჩვენთან არის). გაატარეს, რამდენიმე ხნის შემდეგ „ძველ შენობაში“ მოათავსეს,—ძველი შენობის მკვიდრთ გვიხარიან. ვამაყობთ...

ქოლა გარეგანი შეხედულობით საიმისოს არას წარმოადგენს, ერთ პატონ ტუსაღს უკვირს კიდეც — „მაგაზე უკეთესი ვერავინ გამონახეს, რასა ჰგავსო?“ მაგრამ... პყრობილმა არწივმა მალე გამოიჩინა კვანჯები: მესამე დღეს ერთი ამბავი მოახდინა მნახველთა მისაღებ ოთახში უზრდელ-უდიერ საქციელისთვის, არ გასულა მეტი ხანი და საზოგადო სახმარი პურის უვარგისობის გამო აშკარა საყვედური განაცხადა (თუმცა თითონ უკეთესი—თეთრი პური ეძლეოდა)...

ხალხის ნდობით ალჭურვილი დეპუტატი, მაგრამ უფლება აყრილი—სამოქალაქო სიკვდილით დასჯილი, ციხეშიაც ისევ დეპუტატია, ყველა მას ენდობა, მართველობაც ანგარიშს უწევს და ხშირად გამოელაპარაკება ხოლმე...

როგორც ავადმყოფი (ჭლექი ჰსჭირდა) მზიურ ოთახში მოათავსეს, სრულიად ცალკე (ერთხანად, მისივე სურვილით, მასთან გადიყვანეს ერთი სომეხი სტუდენტი ა. კ—ნი), მაგრამ სეირნობის დროს, აბანოში, პირ-ბანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღისას მუდამ ერთათ ვართ, ერთმანეთის დარდსა და ვარამს ვიზიარებთ...

უსამართლოდ დასჯილი ტუსაღის გული მეტად მგრძნობიარეა, გრძნობა—სათუთი, სული სწრაფად აღსატყინებელი...

არა ერთხელ შეგვხვედრია ხეპრე მორიგე, სეირნობის ანუ სადილის დროს: საკმაო იყო მცირე მიზეზი, რომ ცოცხლად დამარხულებს ცეცხლი მოგვდებოდა, მაგრამ ხშირად ბოღმას გულში ვიკლავდით, კოლა კი— ვიდრე ასეთ ხეპრეს არ მოაშორებინებდა, არ დაწყნარდებოდა...

ცოცხალი მოკამათე-მოსაუბრე იყო, ხან გესლიანი, მწარე დამცინავი, ხან-კი—მოსიყვარულე, საამო, მაგრამ მუდამ გულწრფელი: რაც გულში აქვს ენაზე ადგებაო, ამაზე ითქმოდა... ზოგჯერ ერთი სიტყვით ისე დაახასიათებდა ათვალწუნებულ კაცს, რომ, როგორც იტყვიან, მოსპობდა ხოლმე ..

მუდამ შეუდრეკელი იყო.

ერთხელ რაღაცაზე კარცერში წაყვანა მოუნდომეს.

— ახლავე კარცერში! მოისმა უფროსის მაღალი ხმა.

— სცრუობ, ვერ წამიყვანთ!—იყო კოლას პასუხი...

ყველა ერთეულ საკნის კარი ჩაკლიტულია, სანათურებთან მიმდგარი ტუსაღები ყურგამახვილებულნი ვიცქირებით—აცა, რა იქნება!

— წაიყვათ! ბრძანა უფროსმა.

— ვერ წაიყვანთ, არ შეიძლება!..

მოესმის აქეთ-იქიდან!.. მაგრამ ყურს არავის უგდებენ, გაალეს საკანის კარი, ძალით გაიყვანეს კოლა, კარცერისაკენ გაუყენეს...

— შვიდი დღე-ღამით ჩაჰკეტეთ!—გაიცა ბრძანება. ყველას ელდა გვეცა: ეს ხომ აშკარა სიკვდილია, სჩანს მაგის მოკვლა ჰსურთ,— მოისმის აქედ-იქიდან...

— მიჰქარავ, შვიდ წუთსაც ვერ ჩამსვამ...

არ გასულა ხუთიოდე წუთი, კოლა ისევ უკან ამოიყვანეს:—რა მოხდა?—უმაღლესი ბრძანებაა, კარცერში არ ჩასვათო ..

—

ციხე დაწყნარდა...

კოლა ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა: კითხულობდა, სწერდა სთარგმნიდა და, რაღაც მანქანებით ციხის გარედ ჰგზავნიდა თავის ნაწერებს... მეტეხის ციხეშივე შევასწორეთ ჰენრის ჰეინეს ბიოგრაფიის კორექტურა.—იშვიათად მინახავს ასეთი მოწადინებული, ბეჯითი, მწიგნობრობის მოყვარე. განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას: ენა უნდა შევისწავლოო...

ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: „მაგათი სული კი არ იყოს, რა გაჭირებით უგზავნი ნაწერებს და ეგენი კი... ან „ჰკარგავენ", ან... ეშმაკმა წაიღოს... ერთი გავიდე"!...

კოლას მეტეხის ციხეში საგანგებო კერძი ეძლეოდა, რაც კი შეიძლებოდა—სათუთად უვლიდენ... განსაკუთრებითის ყურადღებით ექცეოდა ცოლი: მისი ციხეში შემოსვლა (პირად სანახავად) და ჩვენი—მთელი ძველი შენობის ტუსაღთა სიხარული (თუ სეირნობაზე მოხდებოდა ხოლმე) ერთი იყო... კოლა გამხიარულებული გაგვერკვეოდა, სანოვაგე-წიგნებით დატვირთულ ცოლს დემონსტრატიულად გადაჰკოცნიდა, შვილს გულში მიიკრავდა ხოლმე და სამმართველოში შევიდოდა ცოლშვილთან ერთად...

ყველანი მოწიწებით პატივს ვსცემდით იმ უცხო ქალს—„ჩვენს რძალს", რომელიც ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქს გადადიოდა, სადაც კი კოლას გადიყვანდენ და ფარვანასავით თავს ევლებოდა...

მისი მოწყალეობით, უმაღლესი მოხელენი ტუსაღთა პირ ვარამსაც მიაქცევდენ ხოლმე ყურადღებას...

**1913** წელს, ერთ დილით, რაღაც ცვლილება შევნიშნე მუდამ მხიარულ კოლას... თითქმის ორი კვირა გულით ზიდავდა ბოღმას: საზიზღარი უსახელო წერილი მიელო ოჯახზე,

. . . . . . . .

ისე გაშფოთებული არ მინახავს: ექვსი წელიწადია და მხოლოდ ახლა გავიგე სასჯელიო... ვამშვიდებდით... ცოლი აღარ მოდიოდა, არც შვილს უშვებდენ... ერთხელ, ზამთრის ცივ დღეში მარტოკინა მოვიდა მისი პაწაწინა შვილი (7 წლის იქნებოდა),—არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშვებენო, შეეტირნა ბალღს... (ქოლას ერთად ერთი ნუგეში და ზრუნვის საგანი ეს შვილი იყო)... მთლად გაჭარხლებული ქოლა დაჭრილ ლომივით ბრდღვინავდა... ცდილობდა, შვილიც მასთან მიეყვანა საცხოვრებლად, ან სოფლად, მაგრამ ვერაფერი გააწყო...

სენმა უმატა, ნახველს ხშირად სისხლს ამოაყოლებდა ხოლმე .. ამ ხანად ნაცნობ-მეგობარნი თუ მოდიოდენ: ერთხელ კ. თავართქილაძემაც კი გამოიხმო, მაგრამ რაკი არ აჩვენეს, მის გადასაცემად მე გამატანა მოტანილი სანოვაგე .. ერთხელ კარლო ჩხეიძემა, და, კარგად არ მახსოვს—ვგონებ აკ. ჩხენკელმაც ჰნახა, უმაღლესი მოხელენიც პატივისცემით ეპყრობოდენ...

ციხის ვადა რომ შეათავა, დღითი-დღე მოელოდა—გამიშვებენო,—ერთხნად ასეთი აზრი გავრცელდა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად ქოლას იმედები გაუცრუვდა, და: სამშობლო—გურიის მაგიერ, ასტრახანს უკრეს თავი... ასტრახანიდან რამდენიმე წერილი მივიღე.

ციხეში, სხვათა შორის, ვსთხოვე ავტობიოგრაფია, რაზედაც თავისებურად გადიხარხარა—„შენც გინახავს რაღა ისტორიული პირიო", ხოლო როდესაც მე თვით დავწერე მისი დახასიათება

ხელთნაწერიც ვუჩვენე, მაშინ კი დამიწერა. ასტრახანს გადასახლებამდე ვსთხოვე, თუ ასტრახანში ქართველ მეფეთა და ისტორიულ პირთა სამარენი ჰნახო, ლექსიკონისთვის ცნობები მომაწოდე-მეთქი. ქოლამ ჩემი დავალება შეასრულა და შემდეგი წერილი მომწერა:

„25 ივნ. 1914 წ. ქ. ასტრახანი

ძმაო იოსებ! „თეატრსა და ცხოვრებას" ვღებულობ. მივიღე აგრეთვე ბესიკის ლექსთა კრებულიც—ყველა ამათის გამო დიდ მადლობას გწირავ. იმედია ჯანსაღათ ხარ და მხნეთ, რასაც ჩემ შესახებ ვერ გეტყვი, ამ წყეულმა სიცხეებმა მაინც არაქათი გამომაცალა. ორმოცდა ოხუთმეტი გრადუსი სიცხეებია; მტვერი და გაუძლები დარეცხილი ფილტვებით.

ასეა თუ ისე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ და მუშაობაში რაც იქნება იქნეს, ჯანიც გავარდეს. კიდა ჩემი დაპირება უნდა შევასრულო. მე მოვნახე აქ ჩვენი მეფეების საფლავი.

არსებობს ასტრახანში ძველი, დღეს გაუქმებული, სიმაგრე, ეგრედ წოდებული კრემლი. ამ სიმაგრის გულში დგას საკმაოდ ლამაზი, დიდი შენობა, ორ სართულიანი სობორო. როცა ამ სობოროში შედიხარ უკანა კარებით (რა თქმა უნდა ქვემო სართულში) მარცხენა კედლის დასაწყისს კედელზე აწერია: „აქ ასაფლავიან ქართველნი მღვდელმთავარნი: არქიეპისკოპოსი იოსებ † 1 სექტ. 1750 წლ., მიტროპოლიტი რომანოზი † 30 იან. 1753 წ., მიტროპოლიტი ტიმოთე † 28 ივლ. 1764 წლ." წარწერა რუსულად: „Здѣсь погребены тѣла грузинских преосвященных: Архіепископа Іосифа † 1 сент 1750 г., Митрополита Романа † 30 янв. 1753 г., Митрополита Тимофѣя † 28 Іюл 1764 г." წარწერა კედელზე, ხოლო იატაკზე არავითარი ნიშანი არ არის, რომ იქ ვისიმე საფლავი იყოს. გადმოწინ საკურთხევლისკენ, საკურთხევლის წინ დგას ვეებერთელა ოთხ კუთხა ბოძი, ამ ბოძის მარცხნითვე, თუ პირი საკურთხევლისკენ გაქვს, აწერია რუსულად: „Здѣсь погребено тѣло грузинскаго царя **Теймураза** † 28 декабря 1861 г. 70 лѣт«. ეს 1861 წელი რა თქმა უნდა შეცდომა არის. საკურთხევლის წინ, მარჯვნით დგას მეორე ასეთივე ბოძი და ამ ბოძის მარჯვენა მხარეზე არის მეორე წარწერა რუსულადვე: „Здѣсь погребено тѣло грузин. царя **Вахтанга** † 26 мар. 1763 г. 88 лѣт."

გარდა ამ წარწერებისა არაფერით არ ჩანს, რომ იქ სასაფლაოებია, თუმცა ასეთივე ნიშნებით მხოლოდ გაიგებ რომ ამ ტაძარში სხვაც ბევრი მარხია, განსაკუთრებით ადგილობრივი ეპისკოპოზები. თუ რამეთ გამოგადგება ეს ცნობები შენი შრომისთვის—ლექსიკონში ამ ცნობების შეკრება დამიჯდა ათი მანეთი ვერცხლის ფული, მეკარეებს კარი გავაღებინე, თან გავიყოლიე და სხვა. ასე რომ თუ ვინმემ ჩემზე გითხრას, სამშობლოსთვის მსხვერპლის გაღება არ შეუძლიაო, ჩემი ათი მანეთი წამოსძახე და შეარცხვინე ასეთი პირი. ხუმრობის გარეშე. გისურვებ ჯანმრთელობას და კიდევ გმადლობ ჟურნალისთვის. „კლდისა", „სახალხო ფურცლისა" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ქუთათურ „იმერეთის“ გარდა ყველა გაზეთებს გკითხულობ, რისთვისაც ღმერთს მადლობას გწირავ. **ნახვამდი შენი ჭოლა“**

ასტრახანიდანვე, 13 აგვისტოს, მწერდა: „ძმაო იოსებ! თბილისის მაგიერ სარატოვში ამოვყავ თავი... ძლიერ ცუდათა ვარ, მაგრამ ეს ჩვეულებრივია, არ ახალი. გისურვებ ჯანმრთელობას—შენი ჭოლა“.

და სარატოვიდან კი სამშობლოში მხოლოდ კუბოთი ჩამოვიდა...

ჭოლას ჰეინედან ნათარგმნი აქვს, სხვათა შორის, ერთი მშვენიერი ლექსი, „გამომჟღავნება“ (ამავე ნომერში იბეჭდება), რომელშიაც მსოფლიო სევდის მგოსანი ჰეინე გვეუბნება: როდესაც ჩემი გულის განამჟღავნები, სილაზე დაწერილი, ტალღამ წაშალა,—ზღვას აღარ მივენდე, ცეცხლის კალმით ცის უზარმაზარ კამარაზე დავწერე იგი და მას შემდეგ, დაღამდება თუ არა, მთელი ქვეყანა კითხულობს ჩემი საყვარლის სახელსო.



ლოტბარი **ს. ი. პრესმანი** „ხარფუხის საზოგადო კლუბის“ სიმებიანი ორკესტრის სამუსიკო ნაწილის მმართველად მიწვეული

ჭოლამ კი დემოკრატიის ტანჯვა თავისი ზურგით აიტანა გოლგოთაზე და საკუთარი სისხლით ბეჩავთა ცხოვრების კაბადონზე დასწერა—როგორი უნდა იყოს ხალხის ერთგული მებრძოლი: დემოკრატიის ვალია, ამოიცნოს იგი...

**იოსებ არიმათიელი**

# ყვავილები

## მომაკვდავი

ღამე. მთვარე. ვარსკვლავები,
ტყე. მდინარე. ბრძოლის ველი;
ჭარის გმინვა. სევდის ხმები,
სისხლის კალო საზარელი...
მტრის კიჟინა. მებრძოლთ ვიში,
ხე უშტოვო. ხე დამწვარი;
შეშლილის ხმა. წყევა თხრილში
და დაჭრილი ცოცხალ-მკვდარი...
განგმირული სისხლში სცურავს,
სველ კენჭს ლოკავს ცხელი ენით;
ბედკრულს აზრთა ნისლი ბურავს
მონაბერი ალმაფრენით.
ხან ჩურჩული ელანდება,
თითქოს სატრფო მკერდს ეხვევა;
ხან მოესმის თავის ქება,
გამარჯვება და მტრის ძლევა...
ხან მშობელი უდგას წინა,
თმებ გაშლილი, მგლოვიარე;
ხან თითქოა თავად შინა,
თვალ წინა აქვს თავის არე...
ხან გრძნობს აქა მისი ყრმაა,
მოცქრიალე, მომღიმარი;
ხან სცნობს, თითქოს—არა ძმაა,
სურს წაიღოს ცოცხალ-მკვდარი..
ხან ერკვევა, თითქოს ხვდება,
ბრძოლის ველზე კვდება ობლად;
და აქ არვინ ეყოლება
დამტირებლად, თანამგრძნობლად..
ეწამება ცოცხალ-მკვდარი,
უდუნდება მკლავი, ხელი;
ღმერთო, ღმერთო ცოდვა არი
ხორციელი, ხორციელი!

**კიკნა-ფშაველი**

## გამომჟღავნება

ჰეინედან ჰ. ოლიას—ბ. ლომთათიძის მიერ თარგმნილი, ჯერ დაუბეჭდავი ხელთნაწერიდან

ღრმად წარბ მოხრილი დედამიწას ეწვია მწუხრი,
გიჟივით რბოდენ ხუჭუჭა ზღვის შმაგი ტალღები;
მე კი ვიჯექი ზღვის ნაპირას და დავსცქეროდი
ტალღათა ტრიალს, იმათ თამაშს შეუდარებელს.
ვით ტალღა ზღვაში, ათამაშდა ჩემს მკერდშიც გული,
სევდამ ძლიერმა, მწვავე სევდამ შეიპყრო სული —
შენ მომაგონდი, მშვენიერო, რომელიც მუდამ
ჩემთან დადიხარ, განუყრელად თვალწინ მიდგიხარ.
და შენ მეძახი, შენ მეძახი მე მუდამ, მუდამ.
შენ არ მეძახი ზღვის გრიალში, ქარის გმინვაში?
შენ არ მეძახი, როცა კვნესის ეს ჩემი გული?..

—

ჯოხით დავსწერე ზღვის ნაპირას, სპეტაკ სილაზე:
„აგნეს მიყვარხარ!“
მაგრამ მოსწვდა მას ზღვის ნასროლი, ტალღის ნამხეცი,
მსწრაფლად წაშალა ჩემი გულის განამჟღავნები...
სუსტია ჯოხი, სილაც მზეში ჩქარა იფშვნება,
უნდო არიან ზღვის ტალღებიც — არ ვენდობი მათ!..

—

დაბნელდა ზეცა, ჩემი გულიც უფრო დამძიმდა...
ხელით ძლიერით უღრან ტყეში ნორვეგიისა,
მე ამოვგლიჯე ახოვანი, ტანადი ნაძვი
და მთავაწვე ის ცეცხლმოდებულ ეტნის გულმკერდში.
და იმ კალამით ანთებულით, უზარმაზარით,
მე დავაწერე შავ ზეცის, შავ კამარაზე:
„აგნეს, მიყვარხარ!“

—

მას შემდეგ არის, ღამდება თუ არა, ცაში
ხან ვარსკვლავებათ ციმციმებენ ცეცხლის სიტყვები
და კითხულობს მას, ჩემს დანაწერს, კაცობრიობა:
„აგნეს, მიყვარხარ!“

ჰ. ოლია (ბ. ლომთათიძე)



როტმისტრი ინგუშთა პოლკისა
**თავ. მიხ. გ. ხიმშიაშვილი**
მამაცობისათვის დაჯილდოვებული მე-4-ხარ. გიორგის ჯვრით და სხ. მონაწილეობდა რუს-იაპონიის ომში



გ. დეკანოზიშვილი († 1910)
მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს საკეთილდღეოდ საზღვარ გარედ „საქართველოს“ გამომცემელთაგანი, გარდაცვალებიდან 5 წ. შესრულების გამო

## დგება ღამე...

დგება ღამე... და ღერწმებში იფერფლება მწუხრის ალი,
დგება ღამე და თეთრ სიცილს აფრქვევს ღამის დედოფალი...
ტყე სალამურს არაკრაკებს, ეპკურება მინდორს ნამი,
ზამბახს ჰკოცნის შუქი მთვარის, მეწამულ ვარდს — ცის კამკამი
და მე ამ დროს მესმის ხმები, მესმის კითხვა საიდუმლო...
რისთვის, რად და საიდანა? — მიწის ჭია, მიწის მუმლო?
მუმლო, დღეს თუ დანავარდობ, ხვალ არარად გადიქცევი,
შენ არ გმოსავს უკვდავება, ნეტარების ჰანგთა მწველი.
შენ, სიზმარზე უჩქარესო, მიწის ცრემლში ისე სდნები,
ამოცანავ, დღეს არა ხარ, ამოცანავ, ხვალ იქნები..
დგება ღამე, საოცნებო, დგება ღამე იდუმალი,
და არ ვიცი, თუ ვინა ვარ, ან სიცოცხლე რად მაქვს მალი?!

გ. ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 46)

**ბაგრატ.** ამ სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში, სხვა და სხვა ომსა და ბრძოლაში საქართველომ დაჰკარგა თითქმის ერთი მესამედი თავისი შვილებისა. სპარსეთის შაჰმა, აღა-მაჰმედ-ხანმა გაანადგურა საქართველო. რამდენი სოფლები და დაბები მტვრად აქცია, ქვა ქვაზე არ დასტოვა, სულ ცეცხლით გადასწვა და ნაცრად აქცია. ხალხში მოულოდნელად გაჩნდა ჭირი და სიმშილი და ცოტა გაწყდა, მუსრი გაავლო იმათ, ვინც გადურჩა აღა-მაჰმედ-ხანს. ერთი ცოცხალი ადამიანი ვერსად ვერ შეგხვდებოდა უშველებელსა და დიდს მანძილზე, მხოლოდ მომაკვდავი ხალხის ოხვრა-კვნესა, გოდება და ვალალი ისმოდა და იმ საერთო სამარისებურს იდუმალობას მხოლოდ ტურის და აფთრის ღმუილი-ღა არღვევდა. და აი, ამ რიგად გაწეწილი და გავერანებული საქართველო ხვდა წილად მამა შენს და როგორ ხვდა?

**ოთარ.** ხვდა ბრძოლითა ღვიძლ ძმებთან და დარეჯან დედოფალთან, რომელიც თავისის უფლების მოყვარულობის ცბიერობით სცდილობდა იულონის გამეფებას, იმდენად იქონია გავლენა ერეკლე მეფეზე, რომ გიორგი მოიშორა თავიდან ..

**დავით.** შემდეგ ხომ ჩემმა პაპამ იცანა ეს გარდაუწყვეტელება და რუსთა იმპერატორს მიჰმართა, იმის მემკვიდრედ მამა ჩემი დაემტკიცებინა.

**ოთარ.** დიახ, ეგ ეგრე გახლდათ, ბატონო, მაგრამ შემდეგ...

**ბაგრატ.** გიორგი ცხადად ჰხედავდა დარეჯანის ცბიერობას და მეტი ღონე აღარ ჰქონდა, გულ-ცივად გარდაიქცა, უდარდელად გავიდა თელავიდან და თან წავიყოლია ჩვენ და კიდევ: ორბელიანი, ფალავანდიშვილი, მაყაშვილი, მღვდელი ზურაბიშვილი, მუხრან-ბატონი და ბებუთაშვილი და ერეკლე მეფის გარდაცვალების დღეს, მხოლოდ ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენს მეფედ გიორგი და ხალხიც დავაფიცეთ იმის ერთგულებაზე.

**დავით.** ამაზე ჩვენ თქვენი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ!

**ბაგრატ.** ახლა დაუმატოთ კიდევ ჩვენი მრავალი ბატონიშვილების და იმათი მომხრეების თვით-მნებელობა და მძლავრობაც, მთავრობის მოხელეთა ბოროტ-მოქმედება, მდაბიო ხალხის უწესოება, ოსთა და ლეკთა მოულოდნელი თავს-დასხმა, ყოველივე ეს გარემოება ითხოვდა მამი შენისაგან სასტიკს ზომას ავადმყოფ მეფისაგან და...

**ოთარ** (გააწყვეტინებს სიტყვას) და ძალიან სასტიკს გამგებლობას, დიდს ჯაფას და გულ-წყნარს უდიერობას. ნუ დავივიწყებთ თვით შენს მოქმედებას, რომ ჯერ ისევ მამის სიცოცხლეშივე სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებასა სცდილობდი, ნურც ომარ ხანს დავივიწყებთ აქა, რომელსაც ბატონიშვილი ალექსანდრე აქეზებს, რომ 15 ათასის ოსმალთა მეომრით მოადგა საქართველოს სამზღვარს. აი, ბატონიშვილო, ამისთანა გარემოებამ აიძულა გიორგი მეფე, შეასრულოს ერეკლე მეფის გულის-წადილი, მიეცეს რუსთა ხელმწიფის მფარველობას და შენ ამითი არაფერს არა ჰკარგავ, პირ-იქით, შენთვის უფრო სასარგებლოა.

## III

აივანზე და **მეფის ქეშიკი.**

**ქეშიკი.** მეფე ჩვენი და რუსთა ვეზირი კოვალენსკი ახლავე გამობრძანდებიან.

**ოთარ.** ბატონიშვილო! ჩვენ მეორე ოთახში უნდა გავიდეთ, მანამდისინ დაგვიძახებდნენ.

**დავით.** კარგი, გავიდეთ! (მიდის მარცხენა კარებთან, ვითომც მარიამ დედოფლის სანახავად, შეჩერდება, ერთი წამის ფიქრის შემდეგ უეცრად გატრიალდება და თადიანს კარებში გავა: ყველანი გაჰყვებიან. ქეშიკი მეფის ოთახის კარს გააღებს, საიდანაც გამოვლენ მეფე გიორგი და კოვალენსკი. გიორგი მეტად სუსტად არის. ესენი რომ გამოვლენ, ქეშიკი თადიანს კარებში გავა)

## IV

**მეფე გიორგი და კოვალენსკი.**

**გიორგი.** უჰ... სიარული როგორა მღალავს! დიდს სისუსტესა ვგრძნობ მთელს გვამში... მიახლოვდება სიკვდილი მგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოვალენსკი**. მხნედ იყავით, მხნედ, თქვენო უდიდებულესობავ, ნუ სწუხართ და მემუნვარებას ნუ ეძლევით!

**გიორგი**. როგორ არ მივეცე მემუნვარებას, როცა ცხადათ ვხედავ რა უბედურად მიდის ყოველი ჩვენი საქმე. ჩემ ძმებზედ აღარას ვიტყვი! იმათ მე არას დროს არა ვყვარებივარ, პატივს არა მცემდნენ და როცა გავმეფდი — შემიძაგეს და შემიძულეს იმიტომ, რომ მეფე მე ვარ და არა ვინმე იმათგანი... დარეჯან დედოფალმა ჩემ შვილთან და სხვა ბევრთან გამლანძღა, გამათრია, მიწასთან გამასწორა, ისე გაავთრდა ჩემზე... და მეც ვერა მოვახერხე-რა, რომ რაიმე პასუხი მიმეცა.

**კოვალ**. ძალიან კარგადაც გინებებიათ, რომ არა უპასუხეთ რა. გაავთრებულს დედაკაცთან რას გააწყობს კაცი!

**გიორგი**. ეგ ჯერ არაფერი! მე ძალიან მწყინს და მაწუხებს, რომ ამ ბოლოს დროს, ჩემი შვილი დავითი ცბიერობს ჩემთან, მტრობს, მე, თავის მშობელს მამას და თავისავე კანონიერს მეფეს.

**კოვალ**. ეჰ, ეგ არაფერია! ახალგაზრდაა და ამიტომაც ცხარეა თავის ჭკუაში, რომ რასაც სჩადის—არ უფიქრდება ხოლმე!.. ეგ იმისი სისულელეა და სხვა არაფერი.

**გიორგი**. ვსთქვათ, ეგ აგრეა, მაგრამ... თქვენ იცით, რომ დავითი ხალხში ჭორებსავრცელებს თქვენზე და ლაზარევზე, ვითომც თქვენ ორივენი ავიწროვებთ აქ სუყველას და ისე არ იქცევით, როგორც დავალებული გაქვსთ პეტერბურღიდან.

**კოვალ**. ეჰ, ბატონო ჩემო, არა ღირს მაგაზე ლაპარაკი, ეგ სულ უმნიშვნელო რამ არის!

**გიორგი**. არა, ეს უმნიშვნელო რამ კი არ არის, სულაც არა! ჭორით ბევრი რამ საქმე წახდება ჩვენს ხალხში... დავითი, პირველს ხანს ჯერ რუსების დიდი მომხრე იყო, ახლა კი, ყოველ რუსს დაუძინებელ მტრად გაუხდა. ეს სულ იმისი სიმამრის ჩაგონებით იქცევა აგრე, რომელიც ერევნის ხანს მეტად უყვარს, საქართველოს უპირველესს მტერს.

**კოვალ**. რასა ბრძანებთ! რა წითელი კოჭია ის ვიღაც ერევნის ხანი, რომ აგრე სწუხართ?! იმისი მტრობა ულონოა! ჩვენი ჯარის წინაშე ვერ გასძლებს და იმისი მტრობა და თვითონაც გაჰქრებიან ვითარცა კვამლი და ბურუსი!.. კარგია, დავანებოთ თავი იმას და საქმეს მ ვჰყოთ ხელი! დრო მიდის, თქვენო უდიდებულესობავ და მანამდე თქვენ კიდევ ჯანზედა ბრძანდებით მოვიწვიოთ ერთი ბაბა-ხანის ვიღაც ელჩი და ვნახოთ რა საპასუხოს პაიათებს იმღერებს.

**გიორგი**. კარგი! მოვიწვიოთ! (იხედება აქეთ-იქით)

**კოვალ**. გნებავთ ვინმე? თქვენ ნუ შესწუხდებით, მე დავუძახებ! (მიდის თაღიან კარებთან და უძახებს) მოიწვიეთ აქ თავადი ოთარ ამილახორი.

## V

იგინივე და **ოთარ ამილახორი**.

**კოვალ**. ბატონო ოთარ! ბაბა-ხანის ელჩის მოწვევს დრო არის! თქვენ კი, თქვენო უდიდებულესობავ, ამ სადარბაზო სიდიდისათვის სამეფო ტახტზედ ბრძანდით, ჩვენ კი აქ, ძირს ვიქნებით.

**გიორგი**. ოთარ! მომეხმარე, ფეხზე ძლივს ვადგავმ! (ოთარი შველის ტახტზედ აბრძანებას) ოთარ!.. ახალი რამ ამბავი ხომ არა იცი რა?

**ოთარ**. დიახ, შენი ჭირიმე, ვიცი! შენი ბრძანება იყო, მეფევ, რომ ბატონიშვილ დავითზე ყველაფერი მოგახსენოთ...

**გიორგი**. ჰო!.. რა... მერე... არის რამ ახალი ამბავი? ალბათ იმისი წერილი ჩაგივარდათ კიდევ ხელში?

**კოვალ**. აბა, აბა?! ბატონო ოთარ, მოგვიყევით ამბავს!

**ოთარ**. წერილი კი არა, ბატონო და... დავით ბატონიშვილს ჩემი მოკვლა უნდოდა.

**გიორგი და კოვალ**. (ერთად) რათ?.. როგორა?

**ოთარ**. აი, აქ, ბატონო, ამ ოთახში ახლანდელს საქმეების შესახებ მოვახსენებდი ბატონიშვილს, მოულოდნელად მოუვიდა გული, იძრო ხმალი და გამოეშურა დასარტყმელად, მაგრამ იმ წამსვე ბაგრატ ციციშვილი და თქვენი ოთხი ქეშიკი მომეშველნენ, გადამელობნენ, თორემ დავითი დამჩეხავდა.

**გიორგი**. რას ამბობ. ეგ როგორ შეიძლება!

**კოვალ**. დავითი? ისეთი წყნარი და მშვი

ჩილი კაცი, როგორ გაჰბედა მაგისთანა საქმე?

**ოთარ.** ბაგრატი და ქეშიკი ზამსვე გარს შემოეხვივნენ ისე, რომ დავითი ცხენზედ დარჩა გაკვირვებული, რომ უცბად მშველელი გამიჩნდა.

**გიორგი.** ოჰ, რა მეწყინა ეგ ამბავი!.. ოჰ!.. მერე რა ჰქმნა დავითმა?

**ოთარ** მერე, ბატონო, დამშვიდდა როცა ვუსაყვედურე და.

**კოშალ.** ალბად, თქვენ აწყენინეთ როგორმე, ან წამოგცდეთ რამე ისეთი სიტყვა, რომ მოთმინება დაჰკარგა და უცბათ აენთო! დავითი ხომ კეთილის გულისაა?

**ოთარ.** არა, ბატონო, რასა ბრძანებთ? როცა შეიტყო ჩემგან, რომ ყოველი იმისი მცბიერობა და მეცადინობა შენ იცი, მეფევ და თქვენც ბატონო, მაშინ მოუვიდა გული და მეტაკა...

**გიორგი.** შენგან ძალიან მიკვირს ეგ ამბავი! შენ, მაგისთანა დარბაისელი კაცი, დავითს როგორ ვერ გაუფრთხილდი?!. დავითი კი არ არის შენთან დამნაშავე, რომ შენზედ ხმალი ამოიღო, შენა ხარ იმასთან დიდად დამნაშავე, რომ აიძულე შენი ბატონიშვილი ისე, რომ სასიკვდილოდ გაგიმეტა.

**ოთარ.** მევე მამტყუნებ, ბატონო?

**გიორგი.** გამტყუნებ და გიცხადებ კიდეც, რომ შენა ხარ იმასთან დიდად დამნაშავე! როგორ?! მე დაველაპარაკო ვისმე, თუ გინდ ჩემს ხელქვეითს, ჩემს ტოლს და არა თუ ჩემზედ უფროსს დაველაპარაკო იმ რიგად, ჩემზედ მოიწიოს გასალახავად, თუ გინდ მოსაკლავად?! შენგან არ მიკვირს? რა უყავი შენი ბრძნული სიდარბაისლე? მაგ რიგად შენს ბატონიშვილს გული რად მოაყვანინე? ეგ მეტის მეტი გათამამებაა შენის მხრით, შენი უფროსის წინაშე!.. მაგ შემთხვევას მერე გავასამართლებ და ახლა წადი და შემოუძეხი ჰაჯი-იბრჰიმ-ხანს! რამდენსამე ხანს დავითს ჩემთან ნუ შემოუშვებთ! (ოთარი ძირმედ თავს დაიხრის და გავა თადიანს კარებში)

**კოშალ.** თქვენ მართალი ბრძანდებით, რა მშვენივრად უბრძანეთ ოთარს! აი, ბრძნული მსჯავრი სწორედ მაგისთანა უნდა!

**გიორგი.** უბედურობა ის არის, რომ ვინც გინდა დაიახლოვო, მაინც გათამამდება და მაინცა... სხვის ღირსებას არაფრად აგდებენ.

**კ. ყიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

# ქართველი მოღვაწენი



(გარდაცვალებიდან 40 წ. შესრულების გამო)

**პლატონ ეგ. იოსელიანი** (1809—1875) ისტორიკოს-ფილოსოფოსი, ბატონიშვილების წინამძღვარის შვილი იყო. პირველდაწყებით სწავლობდა კალაუბნის დავით რექტორთან, შემდეგ —იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, 1817 წ. ახლად გახსნილ სემინარიაში პირველ მოწაფედ შევიდა, 1839 წ. გატაცებით განაგრძო სწავლას პეტროგრადის სას. აკადემიაში. 1831 წ დაამთავრა ღვთის მეტ. კანდიდატის ხარის. 1835 წ. დაინიშნა სემინარიაში ფიზიკის, ფილოსოფიისა და ღვთის მეტყველების მასწავლებლად. 2846 წ. დაიწყო ჟამიერ კავკასიის უწყებათა» (რუსულად) გამოცემა. 1850 წწ. დაინიშნა ქართულ პიესების ცენზორად, ამავე ხანში მთავარი ათონი, პალესტინა და შეისწავლა იქაური ქართული პერგამენტები. მონაწილეობა მიიღო „ძველთა და ახალთა“ ბრძოლაში, მომხრე ძველთა რაინდათა (გრ. ორბელიანის და სხ.) მოწინააღმდეგე იყო ახალთა (ილიასი, აკაკისა და სხ.) გარდაიცვალა 1875 წ. 15 ნოემბერს და დიდის პატივისცემით დაიკრძალა თბილისში. ნიჭიერად დაწერილი აქვს მრავალი ისტორიული შრომა: „მეფე გიორგი XII“, „ქართული საეკლესიო ისტორია“, „ქართული გრამატიკა“, ცნობილი წერილი რუსთველის შესახებ, „თბილისის აღწერა“, „მოგზაურობა კახეთში“, „დიდი მოურავი“ (რუსულად). 50 წლებში აღწერა აუარებელი მონასტრები საქართველოში და სხ. გაზეთის გარდა, გამოსცა „დიდმოურავიანი“, „იოანე მიმოსვლა“, „არჩილიანი“, ანტონ კათალიკოზის „წყობილსიტყვაობა“, ჩახრუხაძის და შავთელის „თამარ მეფის შესხმა“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კალენდარი და მრავ. სხ. მისი მრავალი წერილები გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებში. სიკვდილის შემდეგ აუარებელი ხელნაწერები დარჩენია, რომელიც, როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ფუთობით გაყიდულა ბაზარზე სახვე ქაღალდად.

მან ბევრი კვანძი გახსნა ქართულ ისტორიაში, ბევრი რამე გამოარკვია, ბევრიც გადაარჩინა დაღუპვას (ხელნაწერები და წარწერები) და დაგვიტოვა ძვირფასი მასალად. საქართველოს გარედ ბევრს გააცნო საქართველო, ბევრ გადაგვარებულ ქართველსაც შეაყვარა სამშობლო..

მისი ისტორიული წერილები და გამოკვლევანი, პოეტურ ფილოსოფიურ კილოთი შეზავებული, იშვიათ გამონაკლისს შეადგენს ჩვენს მეისტორიებში *).

# დიქცია

## გამოთქმა

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 44)

**მოდელი ვარჯიშობისა**, რომელიც ხმისათვის იყო ნაჩვენები, აქაც გამოდგება. ვიმეოროთ: „აღარ ვიცი ვის მივენდო". ვიკითხოთ ლექსები, ნამეტნავად ძველი ნაწერები.

აი როგორ ვარჯიშობას გვირჩევს დიდებული მასწავლებელი და რუსისთა რენიე „დადექით, მოშორებით, თქვენს მეგობრის წინ და გამოთქვით სიტყვის თვითეული მარცვალი ჩუმათ, სრულიად უხმოთ, ისე რომ თქვენს მეგობარს მარტო ყურებით-კი არა, თვალებითაც ესმოდეს". „ამგვე მეტოდას ხმარობენ ყრუ-მუნჯთა მასწავლებლები, ხმა არ არის, მხოლოთ ჩურჩული (გალეგუვე).

ავიღოთ მაგალითი:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი,
მეტის ლხენითა სტირის.

(ილ. ჭავჭავაძე)

დაიწყეთ ჩუმათ, უხმოთ, მაგრამ კარგათ და მაგრა გამოთქვით თვითეული მარცვალი: „ტყემ-მო-ის-ხა ფო-თო-ლი ა-გერრრრ მე-რრრ-ცხა-ლი ჭყი-ვის" და სხვა. ამასთანავე, მეტი დონე უნდა მოანდომოთ რ-ს, როგორც ნაჩვენები იყო. ლექსში ათი ბეჭდური სტრიქონის ასე გამოთქმა სრულიად საკმარისია.

მინამ ამ მეტოდით სიტყვების გამოთქმას შევუდგებოდეთ, კარგი იქნება ქვემო მოყვანილი მოდელი ვარჯიშობისა გამოთქვათ რენიეს მეტოდითვე.

ბა ბე ბი ბო ბუ   პა პე პი პო პუ
გა გე გი გო გუ   ჟა ჟე ჟი ჟო ჟუ
და დე დი დო დუ   სა სე სი სო სუ
. . . . . . . . . . . . . . . .

ე. ი. თვითეულ თანხმოვან ასოს დაწყებული ბ-დან ვიდრე ჯ-მდის მივუმატოთ ხუთივე ხმოვანი ასო ცალკ-ცალკე, როგორც ნაჩვენებია.

საჭიროა მსახიობმა მთელი როლი რენიეს მეტოდით გამოთქვას, სცენებ-სცენებით რასაკვირველია: მაშინ დარწმუნებული იქნება, რომ სიტყვებს კარგათ გამოსთქვამს და ზეპირათაც კარგათ ეცოდინება.

თუ გვეძნელება რომელისამე სიტყვის გამოთქმა, გამოვთქვათ რენიეს მეტოდით.

საერთოდ, ვეცადოთ დავიმეგობროთ ისეთნი პირნი, რომელნიც ტკბილათ და მკაფიოთ ლაპარაკობენ, მაგალითი ჩვენ შეგვაჩვევს ტკბილათ ლაპარაკს, რადგან „მაგალითი ყველა გაკვეთილებს სჯობია" სთქვა ფილოსოფოსმა.

### ორი ნამდვილი ამბავი.

საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი ბუფლე თამაშობდა „კრიჟანგის ქალს", ბებრუცუნა კრიჟანგის როლს. როცა მივიდა იმ შესანიშნავ ადგილთან, სადაც ბებრუცუნა კრიჟანგი გაიგებს, ვიღამაც ფულები მოიპარაო,—მსახიობი იწყებს მონოლოგს შეცდომით ხმა მაღლა და სულ მაღალ ხმაზე მიდის, შემდეგ ყვირის კიდეც; ბოლოს ხმა შემოელევა, მონოლოგის გათავებამდე-კი ჯერ კიდე ორი სტრიქონია. რა ქნას, ხმა აღარა აქვს... იცით, როგორ მოიქცა? ეს ორი სტრიქონი ტუჩების ცმაცუნით *) წაიკითხა და ამით საზოგადოება აღიტაცა... „არა მგონია — ამბობს იმ დროის რეცენზენტი: პატივცემულ ბუფლეს ჰქონდეს ოდესმე ამაზე უკეთესი სცენა". საზოგადოებას თვალებით ესმოდა ორი უკა-

*) ცნობები შემოკლებით ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-დან.

*) ეს ტუჩების ცმაცუნი რენიეს მეტოდი არ არის.

სასცენო სტრიქონის სიტყვები და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდეს კარგი გამოთქმა ჰქონდა.

—

აი კიდევ მეორე ნამდვილი ამბავი, რომელსაც აკადემიკოსი დევბუში მოგვითხრობს.

მეტი წილი ფრანგებისა, თითქმის ყველანი, რ-ს მაგიერად ლ-ს მაგვარ ასოს ამბობენ; ეს, რასაკვირველია, ნაკლია და ყველა მსახიობი ცდილობს გაისწოროს. გენიოსს ტალმასაც სწორედ ეს ნაკლი და გაისწორა.

„ერთმა შესანიშნავმა მსახიობმა მიამბო, როგორ გაისწორა ეს ნაკლი. ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, ნიჭიერი. ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელს დასდევდა დასაჭერად, ორივე კურდღელი იმისათვის ერთი მეორეზე ძვირფასი და ერთი მეორეზე ძნელი დასაჭერი იყო. მუშაობდა გამოეთქვა რ ისე როგორც რ და დაემონებინა საყვარელი ქალის გული. ექვსი თვის განმავლობაში სატრფიალოდ, განუწყვეტლივ უკან დასდევდა ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ერთ საღამოს, ერთი საათის ხვეწნა-მუდარის, ალერსის და ჰო-არას თქმის შემდეგ დულცინეას გული მოულბილა, ლამაზი არსება დათანხმდა, ცოლად გამოგყვებით.

გახარებულმა, თითით, ჩამოირბინა კიბეები და მეკარესთან რო მოვიდა, დაუყვირა: „კარები გაღეთ"... სთქვა ესა და შეშინდა... წარმოიდგინეთ ლ-ს მაგიერად რ სთქვა, ნამდვილი რ.

იქნება შემთხვევა იყო?

გაიმეორა: „კარები გამიღეთ"...

ისევ რ, ნამდვილი რ... და მეტად გახარებული გამოვარდა გარეთ.

გზაზე უშველებელი ვირთაგვა დაინახა... ძალიან შეშინდა, არ შეკბინოსო...

— ოჰ, რა დიდი ვირთაგვაა!..

ჰა? კიდევ რ, ნამდვილი რ; ესეც შემთხვევაა? ორჯელ ერთი და იგივე შემთხვევა?

სახლამდის გზა და გზა გაიძახოდა: კარები, რა ვირთაგვა, კარები, რა ვირთაგვა, კარები... რ, რ, რ, ნამდვილი რ..

ვინ უშველა? იმან, ვინც ეგრე ძალიან უყვარდა, თუ ექვსის თვის მუშაობამ?

ასე თუ ისე, ბედნიერი-კი იყო, ლ-ს მაგივრად რ-ს ამბობდა და ქალსაც უყვარდა".

დავარქვათ ამ ამბავს: „სიყვარულის გავლენა გამოთქმაზე". **გიორგი ჯაბადარი**

# ქართული სახიობა

**ქართ. დრამ. დასმა** 13/XI ს. ხალხო სახლში ვ. შალიკაშვილის პიესის „გადაჭრილი მუხის" წარმოდგენით კიდევ ერთხელ წარუდგინა ქართველ საზოგადოებას საბრალმდებლო ოქმი, ოქმი ჩვენის ცხოვრების უკუღმართ და შეუსაბამო ამბებით სავსე: უცხო ჰავით გამოზრდილი ახალგაზრდობა, მიწას რომ მოსწყვეტია და ვერც ზეცამდის უწევია, იდეალთა მოტრფიალე, ნამდვილად კი უიდეალო, ლუკმა-პურის საშოვნელად კანცელარიებში ძრომა და მით ყოველგვარ სიწმინდის დამხობა, ცარიელი ლაპარაკი, ცრუ და ჩვენის ქვეყნისთვის შეუფერებელი სწავლა-განათლების შედეგი, უმაქნისი, ვნებათაღელვის დაკმაყოფილების სურვილით გატაცებული ქალი, დღეს რომ ერთს უგებს ბადეს, ხვალ მეორეს, და ბოლოს—გავერანებული კარმიდამო, უცხოს ხელში გადასული მამაპაპეული მამული, რომლის ახალი პატრონი, გადაჭრილ მუხაზე შემომჯდარი, ძველ პატრონს ეხოდან აგდებს: „ცავდო, ცავდოო" (ვითომ—წადი, წადიო!),—აი ვ. შალიკაშვილის მკვრივი შინაარსიან პიესის სული და გული.—ეს ნამდვილი საბრალმდებლო ოქმია ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილის წინააღმდეგ და—ვაგლახ, რომ იგი ამ ბრალდებისაგან თავს ვერ იმართლებს და მუდამ საგმობიც იქნება, ვიდრე საკუთარ მდგომარეობას არ ჩაუკვირდება და დამღუპველ გზით სიარულს არ ასცდება..

უნდა ითქვას კი, რომ ერთის შეხედვით პიესაში უფრო მეტი მსჯელობაა, ყალბი ადგილები, შიგ და შიგ რაღაც შეუსაბამობაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, პიესას საზოგადოება დიდის ყურადღებით უსმენს და მისი ნესტრით გულსაც იზასრავს. . სასურველია, ავტორი დაამუშავებდეს და, გარდა ამისა, ამ გზით კვლავ განაგრძობდეს წერას, ხოლო უფრო ხელოვნურ ჩარჩოში კი ჩამოაყალიბებდეს თავის საბრალმდებლო ოქმთ..

ჩვენმა დასმა ეს პიესა მწყობრად წარმოადგინა, და არც საკვირველია: დასში თვალსაჩინო ძალნი არიან:—მამა-შვილი აბაშიძენი, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ნ. დავითაშვილი, ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, ან. კიქოძე, ნ. ჯავახიშვილი,—აი წარმოდგენის სულის ჩამდგმელნი.—სანატრელია, დასმა ბეჯითად იმუშაოს და, როგორც იმ ღამეს ზოგიერთს (ალ. იმედაშვილს, გ. იშხნელს, ნ. თოიძეს) ემჩნეოდა, როლის კარგად უცოდნელად სცენაზე არავინ გამოუშვას. აღსანიშნავია ან. კიქოძის მაღალ-ბუნებრივი სახიერობა.—მსახიობქალს დიდი წარმატება ეტყობა. აღსანიშნავია აგრეთვე სადა, მარტივი და სრულიად ბუნებრივი თამაში ნ. დავითაშვილისა.

მეტი ყურადღება მოეთხოვება რეჟისორს. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

ამავე დასმა 16XI წარმოადგინა რუსულიდან ნათარგმნი „ახალი ცხოვრება". ჰკუის სასწავლო პიესაო.

რომ იტყვიან, სწორედ ეს არის: მუყაითი შრომის, მეცადინეობის, თვისი ნიჭის გამოჩენისა და უქნარობა-ფუფუნების სარკე,—აი ძარღვი მისი. პიესა გაპიარებულია, მოძღვრების კილოთი გადამეტებული. თარგმანი რუსიციზმებით არის სავსე. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა,—ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. გუნია, ალ. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი, ნ. ჯავახიშვილი და განსაკუთრებით ახალგაზდა მსახიობნი მ. სარაული და ზ. გომელაური ნაკისრ როლთა ღირსეული აღმასრულებელნი აღმოჩნდენ. რეჟისორს ჰმართებს, სცენის მოწყობაში მეტი ყურადღება. ამ წარმოდგენასაც საზოგადოება ბლომად დაესწრო.

პირველმა წარმოდგენებმა სანუგეშო იმედები აღგვიძრა. ვუსურვოთ წარმატება... უსავანო

**სახალხო სახლში** წრემ 12/XI წარმოადგინა სომხურიდან კარაპეტიანის მიერ ნათარგმნი დრამა შირვანზადესი „ნამუსისათვის“. პიესა კარგი ენითაა ნათარგმნი, შიგადაშიგ სამწიგნობრო ენა სჭარბობს. პიესა თითქმის „ციმბირელი“-ს ტყუპია. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საუცხოვო ელიზბარიანი იყო ნ. გოცირიძე, ერანუჰი—ნ. ჯავახიშვილი და სურენა—მ. ქიაურელი. ე. ნინიძემ (ბაგრატი), ნ. თოიძემ (როზალია), ი. მინდიაშვილმა (სალათელ), ა. მეტრეველმა (არტაშეს) და ანკარამ (მარგარიტა) თვისი როლები შეგნებით შეასრულეს დანარჩენთ ხელი შეუწყეს.

—ნო

**ხარფუხის საზოგადო კლუბში** კვირას, 15/XI ს. პრესმანის გამგეობით და ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ლოტბარს უმეტესად ნაზი და სათუთი სამუსიკო ნაწარმოებნი შეერჩივნა—ტომის, ლუმბის, ლანგის, იარენფელდის, გლიუკის, ვერდის და სხ., რაიცა ორკესტრმა ხელოვნურად შეასრულა. განსაკუთრებით მოსაწონი იყო პირველი განყოფილება, რომელშიაც, სხვათა შორის, ს. სილისკინმა საუცხოვოდ დაუკრა ქსილოფონზე. მეორე განყოფილებაში მოხდენით შეასრულეს სოლო შტურმანმა და შლიკმა. მომღერალმა ნ. ა. პრესინსკაიამ, საზოგადოების თხოვნით, რამდენიმე რომანსი იმღერა, ბოლოს „გენაცვალეც“-კი, რასაც საზოგადოება მხურვალედ შეხვდა.. ხალხს უყვარს ეროვნული სიმღერები და საჭიროა ყოველ ასეთ საღამოში ქ ა რ თ ვ ე ლ ი მომღერალიც მოიწვიონ ხოლმე, თორემ ქართულის არ მცოდნე უცხო ჩვენის სიმღერის გულს ვე ჩასწვდება.. საღამო დასრულდა ყარაშვილის „სამშობლოთი“. დამსწრე საზოგადოებამ ორკესტრი ლოტბარითურთ და ქ-ნი პრესინსკაია მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

კენტი

**ნაძალადევის თეატრში** კვირას, 15/XI, ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდ. იქმნა „ხანუმა“. დაესწრო დიდძალი ხალხი.

**დ ხაშურში** ახლად არჩეულმა (7/XI) დრამატ. წრის გამგეობამ შაბათს, 14/XI წარმოადგინა „ადამ და ევა“ (2 მოქმ). კარგი იყო ბ-ნი ალ. კორძაია (ივანიკა), უკეთესი იქნებოდა ქ-ნი ქ. კალაძე (თამარიკა), როლი რომ სცოდნოდა. ბ-ნი მ. კვალიაშვილიც გვარიანი იყო. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ჩვენებური ცეკვა ჯილდოთი.—ერთი ჯილდო ერგო ქ-ნ ლ. ტატიშვილის ასულს, მეორე ბ-ნ ვ. ხიდირბეგიშვილს. ხალხი საკმაოდ დაესწრო. გამგეობას მოეთხოვება უფრო შინაარსიანი საღამოების მართვა და უფრო საყურადღებო პიესების წარმოდგენა.

კაკალი

**ს. ხართიშალაში** სამკითხველოს სასარგებლოდ 22 მარამ. გამართულ წარმოდგენის შემოსავალი—60 მ. 60 კ და ძველი 8 მ 30 კ. შემოსწირეს: იასონ სუხთლიშვილმა 5 მ; თითო მან. ძმ. ლუნცაძეებმა, თ. კოჩახოვმა და სტ. სიხარულიშვილმა; ამკინძავმა ლ. შატბერაშვილმა—30 კ., აქედან ხარჯებს გარდა წმინდა დარჩა—34 მ. 76 კ დიდს მადლობას ვუცხადებთ შემომწირველთ.

სცენის მოყვარეთა მონდობილობით თ. გურგენიძე

**ოზურგეთში** ამ შემოდგომაზე დაიწყო წარმოდგენების მართვა სცენის მოყვარეთა წრემ, აქაური თეატრის პატრონის ბ. გ. გოგიტიძის თაოსნობა-რეჟისორობით. დიდათ პატივსადებია, რომ წრე ამ მძიმე დროს წარმოდგენების საქმეს უძღვება, ხოლო სასურველია უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდონ საქმეს. 10/XI წარმოადგინეს „სამშობლო“, აქაური პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

Nelli

# წვრილი ამბები

**ქუთაისის მესვეურმა შალვა დადიანმა** 10/XI საჯარო კრება მოიწვია და მოხსენება წარუდგინა დასის მოღვაწეობის, შემოსავალ-გასავლის და ზოგიერთ რეცენზენტის ცალმხრივობის შესახებ. 1/X—5/XI დასს შემოსავალი ჰქონია 3533 მ. 54 კ., გასავალი—1538 მ. 44 კ. ამხანაგობას დარჩენია 1894 მ. 37 კ., თითო მარკაზე 11 მან. ცოტა მეტი. ასე რომ შემოსავლის მხრით დასი კმაყოფილია. კრებაზე შემუშავებულ იქმნა დაახლოვებით ასეთი დადგენილება: „გამოეცხადოს სრული ნდობა ამხ-ს დასს და ეთხოვოს, კვლავ განაგრძოს თავისი სასარგებლო მუშაობა; ამასთან გამოითქვა სურვილი—რეცენზენტებად ინიშნებოდნენ მცოდნე და მიუდგომელი პირები“.

**სამუსიკო დილა** სიმებიანი ორკესტრისა პრესმანის ლოტბარობით სახალხო სახლში გაიმართება კვირას, 22/XI.

**ვასო აბაშიძე** განაპირა თეატრების ხშირი სტუმარი შეიქმნა: ორი კვირის წინად საბურთალოს სცენაზე მონაწილეობდა („რაც გინახავს – ველარ ნახავ“), გასულ კვირას—ნაძალადევში („ხანუმა“), რაღა თქმა უნდა, სრულიად უშრომის ფასოდ და ამ სიშორიდან ხშირად ნაშუაღამევს ფეხით ბრუნდება ხოლმე სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **ცალკე წიგნად გამოვიდა** ს. ერთაწმინდელის „ლურჯი ხალათი“, დრამ. ესკიზი 1 მოქ., გამოცემა კ. ბაქრაძისა და კ. ყიფიანისა, ფასი 10 კ.

◆ **ნაძალადევის თეატრში** შაბათს, 21/XI, გ. იმედელის მონაწილეობით—დავ. კუდუხაშვილის რეჟისორობით „გამცემი“, ი. გედევანიშვილისა.

◆ **ხარფუხის კლუბში** კვირას, 22/XI. გაიმართება საბავშო დილა.

◆ **მგოსან შიო მღვიმელის** სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად ამ მოკლე ხანში გაიმართება საბავშო დილა და სალიტერატურო სალამო.

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებლად ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოებამ, 12 სექტემბრიდან პირველ ნოემბრამდე სხვა და სხვა პირთაგან მიიღო თავისუფალი შემოწირულება 422 მ. და 40 კ. შემომწირველთა სია თავის დროზე ცხადდებოდა გაზეთებში.

◆ **ჰოლა ლომთათიძის** ცხედარი საპატიო ზეიმით დ კრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. უმთავრესად დემოკრატია დაესწრო, ასამდე გვირგვინი იყო, ამათში 47 რუსეთიდან. ჩვენი რედაქციის მხრით კუბო შემკულ იქმნა ია-ვარდ-ყვავილების თაიგულით სიტყვები წარმოსთქვეს დეკ. თალაკვაძემ, ე. გეგეჭკორმა, კუზნეცოვმა, აზატიანმა, ა. მაისურაძემ, გრ. კოპლატაძემ, ს. პართენაშვილმა, ნ ჩხიკვაძემ, ე. მგალობლიშვილმა და სხ. დაესწრენ სხვა და სხვა დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნიც.

◆ **დ. ბორჯომში** ქ. შ. წ. კით. საზ. განყ. არსებულმა სცენის მოყვარეთა წრემ დროებით შესწყვიტა ქართული წარმოდგენების მართვა (რადგან სათეატრო დარბაზი ძვირად და ხაშინლად ცივა).

◆ **სად. შორაპანში** ამ მოკლე ხანში გ. ნუკრაძის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილ ს „საბედისწერო დამბაჩა“. მასვე განუზრახავს, როგორც ადგილობრივ სცენის მომწყობს, სისტემატიურად მართოს წარმოდგენები.

**დ. ხაშურის** ქართ დრამ. წრე ამ მოკლე ხანში დაიწყებს საზამთრო სეზონს (რეჟისორად—ალ. კორძაია, თანაშემწედ ნ სიხარულიძე). მზადდება შესაფერი რეპერტუარი. პირველად—„ქართველი დედა“.

◆ **მსახიობ გარველის ბენეფისი** ქუთაისში 3/XII გაიმართება.

◆ **დაბადების ასი წლის თავი** ნ. ბარათაშვილისა მომავალ წელს 22/XI სრულდება.

◆ **ქუთაისში** ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ ხუთშაბათს, 26/XI „ქართ. დრამის“ მ. ახ. ამხ-ბა წარმოადგენს ა. შანშიაშვილის ისტ. პიესას გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან „უგვირგვინო მეფენი“-ს გ. სააკაძის როლს შეასრულებს მობენეფისე. როლები დასის საუკეთესო ძალთა შორისაა განაწილებული. შემდეგი ბენეფისი—ვანო ბარველისა.

---

**სახალხო სახლი** სამშაბათს, 24 გიორგობისთვეს, 1915 წ.

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებით

წარმოდგენილი იქნება

გენრიხ სენკევიჩის ცნობილი პიესა პირველ ქრისტიანობის დროიდან

## ვიდრე სვალ უფალო?

დრ 5 მოქ. თარგ. აკაკი წერეთლისა

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმედელი გ., მამფორია ი., ქივიძე ი. ადგილების ფასი 15 კ.—1 მ—50 კ.-დე.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ ანდრონიკაშვილი,

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მიქელაძე

---

**ხარფუხის საზ. კლუბი** მიხეილის პრ. № 131

**ერთი კვირის პროგ. 21 გიორ. 29 გიორგ-დე**

**შაბათს** | სიმებიანი ორკესტრი პრესმანის
**კვირა** | საბავშო დილა, სალ. ორკესტ

**ორშაბ.** სინემატოგრაფი; საზანდარი

**სამშაბ.** სიმებიანი ორკესტრი

**ოთხშაბ.** ქართ. წარმოდგენა

**ხუთშაბ.** სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ.

**პარასკევს.** საზანდარი, სინემატოგრაფი

**შაბათი** | სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტბ.
**კვირა** | მუსიკალური სალამო

**შესავალი ფასი:** მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

---




---

**ნომრები „ავრორა“**

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, **სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და აბანო). თბ., მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)

---

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Типографія „Сорапань“ Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“